ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №6054498

ნომერი: AR1913298

თარიღი : 19.07.2022

გაცემის თარიღი : 26.07.2022

გაცნობის თარიღი : 26.07.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, გიორგი გეხტმანის VIII გასასვლელი, N 17;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გურამ დავითაძე პ/ნ 61004073270
- ქობულეთი დ. ჩაქვი ი.გოგებაშვილის ქ. N 38

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 19 ივლისის №6041644 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 19 ივლისს №AR1913298 განცხადებით მომართა გურამ დავითაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 19

ივლისის №6041644 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 08 ივლისის №6027178 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, დიდ დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.72.14.004.868) ინდივიდუალური ორ ბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2022 წლის 19 ივლისის №6041644 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 19 ივლისიდან 2024 წლის 19 ივლისის ჩათვლით კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2022 წლის 19 ივლისის №6041644 ბრძანებაში შეცდომით იქნა დაფიქსირებული მშენებლობის ვადა, კერძოდ: „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 19 ივლისიდან 2024 წლის 19 ივლისის ჩათვლით“ ნაცვლად დაფიქსირდა “მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 19 ივლისიდან 2023 წლის 19 მაისის ჩათვლით“.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2022 წლის 09 ივლისის №AR1911441 განცხადებაზე წარმოდგენილ იქნა მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი 24 თვეზე და სამსახურის 2022 წლის 19 ივლისის №6041644 ბრძანებით მშენებლობის ვადა უნდა განსაზღვრულიყო 2022 წლის 19 ივლისიდან 2024 წლის 19 ივლისის ჩათვლით, თუმცა ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად მშენებლობის ვადა არასწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2022 წლის 19 ივლისის №6041644 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 19 ივლისის №6041644 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 19 ივლისიდან 2024 წლის 19 ივლისის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად“.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 19 ივლისის №6041644 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 19 ივლისის №6041644 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.